მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვების სამართლებრივი ასპექტები მედიცინის სამართალში

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი

სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

ელ. ფოსტა: kmhaedrich@t-online.de

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია პენიტენციური მედიცინის სამართლის მნიშვნელოვანი საკითხი პატიმრის მიერ გამოცხადებული შიმშილობის მართვის შესახებ ქართულ და გერმანულ სამართლებრივ სივრცეში. გაანალიზებულია მედიკოსთა საერთაშორისო დეკლარაციები პატიმრის, როგორც მოწყვლადი პაციენტის ავტონომიური გადაწყვეტილების პატივისცემის და მისი ფიზიკური ხელშეუხებლობის და ღირსების დაცვის და შესაბამისად, მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვების დაუშვებლობის შესახებ მაშინაც კი, როდესაც შიმშილობას ჯანმრთელობის დაზიანება და სიკვდილი შეიძლება მოჰყვეს. განხილულია პენიტენციური დაწესებულების მედიკოსთა დილემა, მათი არჩევანი, ერთი მხრივ, მოშიმშილე პატიმრის სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას და, მეორე მხრივ, მისი ღირსების დაცვასთან დაკავშირებით. შედარებით სამართლებრივად გაანალიზებულია ქართული და გერმანული პენიტენციური მედიცინის სამართლის რეგულაციები, რომელთა მიხედვითაც დაშვებულია გადაწყვეტილებაუუნარო მოშიმშილე პატიმრის ხელოვნური კვება მისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით. განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვების დასაშვებობის შესახებ. მითითებულია, რომ ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის და ღირსების შემლახავი იძულებითი კვება პენიტენციურ მედიცინაში ვიწროდაა გაგებული და მარტოოდენ მოშიმშილის ფიზიკური წინააღმდეგობის გადალახვით განხორციელებულ კვებას გულისხმობს.

საკვანძო სიტყვები: პატიმარი-პაციენტი, თვითგანსაზღვრა, პატერნალიზმი

LEGAL ASPECTS OF FORCE-FEEDING OF STARVING PRISONERS IN MEDICAL CRIMINAL LAW

Ketewan Mtschedlishvili-Hädrich

Doctor of Law, Associate Professor at Faculty of Law of University of Georgia, Member of the Union of Law Scientists

Email: kmhaedrich@t-online.de

ABSTRACT

The paper discusses the important issue of the law of penitentiary medicine about the management of the hunger strike declared by the prisoner in the Georgian and German legal space. The international declarations of doctors on respecting the autonomous decision of the prisoner as a vulnerable patient and protecting his/her physical inviolability and dignity and, accordingly, on the inadmissibility of **force-feeding** of a starving prisoner, even when starvation may result in health damage and death, are analyzed. The dilemma of the medics of the penitentiary institution is discussed, their choice, on the one hand, regarding the obligation to protect the life of the starving prisoner and on the other hand, the protection of his/her dignity. The regulations of the Georgian and German penitentiary medicine laws are analyzed in a comparative legal sense, according to which it is allowed to artificially feed a starving incapacitated prisoner in order to save his/her life. The practice of the European Court of Human Rights on the admissibility of forced feeding of a starving prisoner is discussed. It is indicated that **force-feeding**, which violates the physical integrity and dignity of a person, is narrowly understood in penitentiary medicine and it means feeding by overcoming the physical resistance of a starving person.

KEYWORDS: Prisoner-patient, Self-determination, Paternalism

შესავალი

ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა პაციენტის სხეულებრივ მთლიანობაში მისი ნების საწინააღმდეგოდ, ინფორმირებული თანხმობის გარეშე, თუნდაც მისი სიცოცხლის გახანგრძლივების ან გადარჩენის მიზნით, სისხლისსამართლებრივად ჯანმრთელობის დაზიანებად კვალიფიცირდება.* მედიცინის სისხლის სამართალი საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლზე დაყრდნობით პაციენტის ავტონომიას იცავს. იგი არ მოითხოვს გადაწყვეტილებაუნარიანი და ინფორმირებული პაციენტის გადაწყვეტილების «გონივრულობას», ობიექტური შემფასებლის თვალსაწიერიდან პატივს სცემს მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას და ამგვარად უარს ამბობს პატერნალიზმზე. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (მე-13 მუხლი) პაციენტის ავტონომიას განამტკიცებს პენიტენციურ დაწესებულებაშიც და მიუთითებს, რომ სამედიცინო დახმარების გაწევა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის, მათ შორის, შიმშილობის დროს მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში დაიშვება.

საკითხავია, კარგავს თუ არა ჯანდაცვის სფეროში ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში პირი ავტონომიურობას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებისას, აქვს თუ არა პატიმარს საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის უფლება შიმშილით გაფიცვისას თვითგანსაზღვრის (ავტონომიურობის) უფლების ფარგლებში და რომელი საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენებაა შესაძლებელი პატიმარი პაციენტის ამ უფლების დასასაბუთებლად ან შესაზღუდად მისი ჯანმრთელობის და სიცოცხლის გადარჩენის მიზნით.

მოშიმშილე პატიმრის თვითგანსაზღვრის უფლება საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის განკარგვის ჭრილში გადაჯაჭვულია სასჯელაღსრულების ორგანოს ექიმის ღირებულებით კონფლიქტთან. ექიმი დგას დილემის წინაშე: მის ვალდებულებას წარმოადგენს როგორც პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, ასევე მისი ავტონომიური გადაწყვეტილების პატივისცემა მაშინაც კი, როდესაც იგი შიმშილობით უქმნის საფრთხეს საკუთარ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს (შიმშილობით ქმნის თვითსაფრთხეს).

აქვე უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს წინაშე არსებული დილემაც: სასჯელაღსრულება (ius puniendi) სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებაა, რაც პატიმრის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის სახელმწიფოებრივ მოვალეობასთანაა დაკავშირებული;[1] სახელმწიფო ასევე ვალდებულია, დაიცვას მოწყვლადი პირის, პატიმარი პაციენტის ავტონომიურობა და, შესაბამისად, მისი ღირსება.

აღნიშნული სტატია სამართლის საკმაოდ უცნობი დარგის, პენიტენციური ჯანდაცვის სამართლის მნიშვნელოვან პრობლემას, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მოშიმშილე

* იძულებითი (არანებაყოფლობითი) მკურნალობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები, მაგ., იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა საქ. სსსკ 191-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის 221 მუხლის მიხედვით.

1 გოცირიძე, ე., (ტურავა, პ., „რედ.“) 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხლი 15. თბილისი: პეტიტი, გვ. 81. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

პირის ავტონომიურობის ფარგლებს, სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმის უფლებებს, მოვალეობებსა და სახელმწიფოს მიერ პატიმრის სიცოცხლის აქტიური დაცვის (პოზიტიურ) ვალდებულებას ეხება.

1. შიმშილობის (შიმშილობით გაფიცვის) დეფინიცია და მისი სახეები

სამართლებრივ ლიტერატურაში შიმშილობით გაფიცვის (შემდგომში – შიმშილობის) დეფინიციისას სამ საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას: უარი საკვების მიღებაზე, ნებაყოფლობით გაცხადებული ნება და რაიმე მიზნის მიღწევის სურვილი. მარტოოდენ უარის თქმა საკვების მიღებაზე, როგორც რეაქცია რაიმე სიტუაციაზე გაბრაზების ან იმედგაცრუების გამო, არაა საკმარისი ქმედების შიმშილობად კვალიფიკაციისათვის.[2] ამ ნიშნების გათვალისწინებით, შიმშილობა უნდა განიმარტოს, როგორც არაძალადობრივი პასიური პროტესტის მეთოდი სპეციფიკური მიზნის მისაღწევად იმ გადაწყვეტილებაუნარიანი პირის მიერ, რომელსაც გამოხატვის სხვა ფორმა არ გააჩნია.[3]

მოშიმშილეს, როგორც წესი, საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანება ან სიკვდილი კი არ უნდა, არამედ იგი დასახული მიზნის მისაღწევად შეგნებულად მიდის ამ რისკზე. შიმშილობას ადამიანები უმეტეს შემთხვევაში ჩაკეტილ სივრცეში (მაგ., ციხეში) ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მიმართავენ.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შიმშილობის სამი სხვადასხვა სახე:

1. **არასრული შიმშილობისას** პირი უარს ამბობს მხოლოდ მყარ საკვებზე, მაგრამ იღებს სითხეს, წყალთან ერთად ვიტამინებს, ელექტროლიტებს, რძესა და შაქარს. ცნობილია, რომ ამგვარმა ნაწილობრივმა შიმშილობამაც შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს;[4]
2. **სრული შიმშილობისას** პირი უარს ამბობს მყარ საკვებზე, მაგრამ იღებს წყალს ვიტამინების და ელექტროლიტების გარეშე;
3. **აბსოლუტური შიმშილობისას** ორგანიზმი არ ღებულობს არც მყარ საკვებს და არც წყალს. შიმშილობის ამ სახეს «მშრალ შიმშილობასაც» უწოდებენ. ამ შემთხვევაში შიმშილობა რამდენიმე დღეში ორგანიზმის გაუწყლოებით იწვევს სიკვდილს.[5]

2. მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის ტოკიოს (1975) და მალტის (1991) დეკლარაციები იძულებითი კვების შესახებ

თუ შიმშილობის სავალალო შედეგების შესახებ ექიმისა და სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან მიღებული ინ-

2 Noll, Th., 2013. Hungerstreik in U-Haft und Vollzug. Forum Poenale, 6, გვ. 2. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.archiv1864.ch/wp-content/uploads/2015/04/forumpoenale_06_2013_Hungerstreik_in_U_Haft_und_Vollzug.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

3 Kunkel, Th. N., Noemi, E., Novak, R. und Oster, I., 2014. Praktische Fragen in der medizinischen Betreuung von Hungerstreikenden. Maintal, გვ. 6. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.vdaeae.de/images/stories/fotos2/vdaeae_Hungerstreik_Reader_2014.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

4 იქვე. გვ. 6.

5 იქვე. გვ.14.

ფორმაციის მიუხედავად პატიმარი შიმშილობას მაინც გააგრძელებს და იგი უგონო მდგომარეობაში ჩავარდება, სახელმწიფო ორგანოს რჩება მხოლოდ ორი ალტერნატივა:

1. მან პატივი უნდა სცეს პატიმრის ავტონომიურობას, მის გადაწყვეტილებაუნარიანობისას მიღებულ გადაწყვეტილებას შიმშილობაზე, რის შედეგადაც იგი გარდაიცვლება, ანუ მიჰყვეს ანტიპატერნისტულ ხაზს.
2. უნდა უგულებელყოს პატიმრის ავტონომია და გასცეს განკარგულება მის იძულებით გამოკვებაზე, შესაბამისად, იმოქმედოს პატერნალისტური სახელმწიფოს და პატერნალისტური მედიცინის იდეიდან გამომდინარე.

იძულებითი კვება ხელოვნური კვებაა მოშიმშილის ნების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, იძულებითი კვება შესაძლოა გავიგოთ როგორც გადაწყვეტილებაუნარიანი მოშიმშილის ნების საწინააღმდეგოდ მისი გამოკვება ფიზიკური წინააღმდეგობის გადალახვით (ბორკილების დადება, დაბმა), ასევე მისი გამოკვება უგონო მდგომარეობაში მყოფი მოშიმშილის მიერ წინასწარ გადაწყვეტილებაუნარიანობისას გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ.

სხვა შესაძლებლობა, ანუ მოშიმშილის მოთხოვნის შესრულება შიმშილობის შეწყვეტის სანაცვლოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში პატიმრის მიერ სახელმწიფოს დაშანტაჟებადაა აღიარებული და სახელმწიფოს მოქმედების ალტერნატივად არ განიხილება.[6]

მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის ტოკიოს 1975 წლის დეკლარაციის (სახელმძღვანელო მითითებები ექიმებისათვის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის შესახებ დაკავებისას, ან პატიმრობისას) მე-6 მუხლი ცალსახად მიუთითებს, რომ ექიმები ვალდებულნი არიან, არ მიიღონ მონაწილეობა პატიმრის იძულებითი კვების ღონისძიებებში და ამგვარად არ ხელყონ მათი თვითგანსაზღვრის (გაფიცვის) უფლება.[7]

ექიმთა მიმართ წაყენებული ეს ეთიკური მოთხოვნა კიდევ უფრო გამკაცრდა მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის მალტის 1991 წლის დეკლარაციაში (შემდგომში – დეკლარაცია) შიმშილობის შესახებ. დეკლარაცია ეხება ციხის ექიმის დამოუკიდებლობას სამედიცინო გადაწყვეტილებების მიღების საკითხში, კონფიდენციალურობის მოვალეობას, პაციენტისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღების ვალდებულებას და შიმშილობის მართვას ციხეში. ციხეში შიმშილობის მართვის საკითხებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ექიმის ვალდებულება, დაადგინოს, სურს თუ არა მოშიმშილეს, მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გააგრძელოს შიმშილი სიკვდილამდეც კი (დეკლარაციის მე-13 მუხლი).

დეკლარაცია დაუშვებლად მიიჩნევს ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელებულ იძულებითი კვების პრაქტიკას გადაწყვეტი-

6 Brägger, B., 2010. Zwangsernährung im Strafvollzug – Replik zu «Hungerstreik und Strafvollzug von Markus Müller». Jusletter, 16, გვ. 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.humanrights.ch/cms/upload/pdf/100816_Braegger_Zwangsernaehrung.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

7 WMA Declaration of Tokyo – Guidelines for Physicians Concerning Torture and other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment in Relation to Detention and Imprisonment. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://web.archive.org/web/20101204225222/http://www.wma.net/en/30publications/10policies/c18/index.html> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

ლებაუნარიანი მოშიმშილე პატიმართან მიმართებაში, «რომელსაც თან ახლავს მუქარა, იძულება, ძალის ან ფიზიკური შეკავების საშუალებების გამოყენება», როგორიცაა, მაგ., მოშიმშილე პატიმრისთვის ხელბორკილის დადება, საწოლზე მიბმა ან ნებისმიერი სხვა სახის ფიზიკური შეზღუდვა (დეკლარაციის მე-16 მუხლი).

დეკლარაცია ცალსახად ანტიპატერნისტულ ხაზს მისდევს და კვებაზე ინფორმირებული უარის მთქმელი მოშიმშილე პატიმრის იძულებით კვებას არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად მიიჩნევს მაშინაც კი, როდესაც ეს სამედიცინო ჩარევა საქველმოქმედო მიზნით ხორციელდება და პაციენტის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის გადარჩენას ემსახურება. დეკლარაციის 21-ე მუხლი ჯანდაცვის მუშაკებისაგან პატიმრის ავტონომიის პატივისცემას მოითხოვს და გადაწყვეტილებაუნარიანი პატიმარი პაციენტის ინფორმირებული შიმშილისას, შიმშილობით გამოწვეული სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, იძულებით კვებას ეთიკურად გაუმართლებლად თვლის.

დეკლარაცია ყურადღებას აქცევს ასევე ციხეში მომუშავე ექიმის ორმაგი লოიალობის დაბალანსების საჭიროებას (დეკლარაციის მე-6 მუხლი). ზოგადად, ციხეში დასაქმებულ ექიმს ეკისრება লოიალობის ვალდებულება როგორც თავისი დამსაქმებლის (ციხის ხელმძღვანელობის), ასევე მოშიმშილე პატიმრის (პაციენტის) მიმართ. დეკლარაციის ამ მუხლით, შიმშილობისას პაციენტის ავტონომიის პატივისცემამ და მისდამი লოიალობამ უნდა გადაწონოს লოიალობა ციხის ადმინისტრაციის მიმართ და ექიმმა უგონო მდგომარეობაში ჩავარდნილი პაციენტის წინასწარ გაცხადებული ნება იძულებით კვებასა და მკურნალობაზე უართან დაკავშირებით მარტოოდენ იმ შემთხვევაში უგულებელყოს, როდესაც სიტუაცია, რომელშიც გადაწყვეტილებაუნარიანი პატიმრის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ცნობიერების დაკარგვის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა.

ანტიპატერნისტული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ასევე დეკლარაციის დებულება (მე-19 მუხლი) იმის შესახებ, რომ მოშიმშილის წერილობით გაცხადებული ნების არარსებობისას, მართალია, ექიმმა პატიმრის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს, მაგრამ მან ეს საუკეთესო ინტერესები უნდა განმარტოს არა საშუალო სტატისტიკური გონიერი ადამიანის, არამედ მოშიმშილის მიერ გამოთქმული სურვილების, მისი პიროვნული და კულტურული ღირებულებების შესაბამისად და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

ანტიპატერნისტულია და პაციენტის ავტონომიურობის პატივისცემაზეა ორიენტირებული ასევე დეკლარაციის მე-20 მუხლიც, რომელშიც საუბარია გადაწყვეტილებაუუნარო მოშიმშილის სამედიცინო მომსახურებაზე მის მიერ წინასწარ გაცხადებული ნების საწინააღმდეგოდ, რაც მხოლოდ მაშინაა დასაშვებად მიჩნეული, როდესაც დადგინდება, რომ მოშიმშილემ სამედიცინო დახმარებაზე იძულებით თქვა უარი. ამ შემთხვევაში რეანიმაციის შემდეგ ცნობიერებადაბრუნებული და გადაწყვეტილებაუნარიანი მოშიმშილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუნდაც სიკვდილამდე შიმშილზეც კი, ექიმმა პატივი უნდა სცეს; დეკლარაციის მიხედვით, ექიმის პროფესიულ ეთიკას ეწინააღმდეგება განმეორებითი ჩარევა მოშიმშილე პატიმრის სხეულებრივ მთლიანობაში მისი ნების საწინააღმდეგოდ და არა მისი ავტონომიურობის დაცვით გამოწვეული ღირსეული სიკვდილი.

მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია მსოფლიოს 113 ქვეყნის (მათ შორის, საქართველოს) ეროვნულ სამედიცინო ასოციაციას აერთიანებს. ტოკიოს და მალტის

დეკლარაციები თავიანთი ანტიპატერნალისტური პათოსით მათთვის მოქმედების სავალდებულო სახელმძღვანელო მითითებებს წარმოადგენს.

3. პატიმრის შიმშილობის მართვა გერმანიაში სამედიცინო ეთიკის წესებისა და სასჯელაღსრულების კანონმდებლობის მიხედვით

საპატიმროში შიმშილით გაფიცვის საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გერმანელმა ექიმებმა შეადგინეს სახელმძღვანელო მითითებები («პრაქტიკული კითხვები მოშიმშილეთა სამედიცინო დახმარებაში») შიმშილობის მართვის შესახებ, სადაც ისინი ცალსახად მიჰყვებიან ანტიპატერნისტულ გზას და უარს ამბობენ გადაწყვეტილებაუნარიანი მოშიმშილის იძულებით კვებაზე ფსიქიკური და ფიზიკური ძალადობის გამოყენებით, თუ მან შიმშილობის გადაწყვეტილება ექიმის მიერ მისთვის შიმშილობის შედეგებსა და «ხელახალი კვების სინდრომის» (ფატალური შედეგი კვების განახლებისას) პოტენციურ რისკზე ამომწურავი ინფორმაციის მიწვდის შემდეგ მიიღო.[8] ისინი ეთიკურად გაუმართლებლად და დაუშვებლად მიიჩნევენ ასევე კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდნილი პატიმრის ხელოვნურ გამოკვებას, თუ მან კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდნამდე, ანუ გადაწყვეტილებაუნარიანობისას პაციენტის ნებაში ხელოვნურ კვებაზე ინფორმირებული უარი განაცხადა.[9]

სახელმწიფოს წინაშე საპატიმროში შიმშილობის მართვისას წარმოშობილი დილემა გერმანელმა კანონმდებელმა სასჯელაღსრულების შესახებ კანონში (ამ კანონის §101) გადაწყვიტა. ამ ნორმის 1-ლი აბზაცით, თავისუფლების აღკვეთის ადგილას სამედიცინო გამოკვლევა და მკურნალობა, ასევე იძულებითი კვება დასაშვებია მხოლოდ პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი (მძიმე) საფრთხის, ანდა სხვა პირების ჯანმრთელობისათვის საფრთხის არსებობისას; მოშიმშილე პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენი ღონისძიებები გონივრული უნდა იყოს მისი მონაწილეთათვის და არ უნდა უკავშირდებოდეს პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს. სასჯელაღსრულების ორგანო არაა ვალდებული განახორციელოს ეს ღონისძიებები მანამ, სანამ პატიმრის თავისუფალი ნებით გადაწყვეტილების გამოტანის უნარი (გადაწყვეტილებაუნარიანობა) ივარაუდება.

გერმანელმა კანონმდებელმა ამ ნორმით პატერნალიზმისა და ავტონომიურობის პრინციპის კონკურენციისას შერეულ გზას მიმართა. იქამდე, სანამ მოშიმშილე პატიმრის თავისუფალი ნების არსებობა ივარაუდება და მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საფრთხე არ არსებობს, სახელმწიფო პატივს სცემს მის ავტონომიურ გადაწყვეტილებას და არ ავალდებულებს სასჯელაღსრულების ორგანოს, განახორციელოს იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებები იძულებითი კვების ჩათვლით, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადასარჩენად. ამ ნორმის ბოლო წინადადების ლოგიკურ განმარტებას კი მივყავართ იმ

8 Kunkel, Th. N., Noemi, E., Novak, R. und Oster, I., 2014. Praktische Fragen in der medizinischen Betreuung von Hungerstreikenden. Maintal, გვ. 10. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.vdaeae.de/images/stories/fotos2/vdaeae_Hungerstreik_Reader_2014.pdf>[წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

9 იქვე. გვ. 9.

დასკვნამდე, რომ სასჯელაღსრულების ორგანოს სამედიცინო ღონისძიებების (ხელოვნური კვების ჩათვლით) განახორციელების ვალდებულება წარმოეშობა მოშიმშილე პატიმრის მიერ თავისუფალი ნების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების (გადაწყვეტილებაუნარიანობის) დაკარგვის შემდეგ. თავისთავად იგულისხმება, რომ გადაწყვეტილებაუუნარო პაციენტის იძულებითი კვება სამედიცინო ხელოვნების წესების და პატიმრის ღირსების სრული დაცვით უნდა განხორციელდეს.

როგორც ვხედავთ, გერმანელ მედიკოსთა და გერმანელი კანონმდებლის შეხედულება იძულებით კვებასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან განსხვავდება. გერმანელი მედიკოსები სამედიცინო ეთიკასთან შეუთავსებლად თვლიან როგორც გადაწყვეტილებაუნარიანი და კვებაზე ინფორმირებული უარის მთქმელი მოშიმშილე პატიმრის, ასევე კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოშიმშილის იძულებით კვებას, გერმანელი კანონმდებელი კი პენიტენციურ ორგანოს ავალდებულებს, მოშიმშილე, კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდნილი პატიმრის სიცოცხლის და ჯანმრთელობის გადასარჩენად განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლის განხორციელებაზეც მოშიმშილე გადაწყვეტილებაუნრიანობისას ინფორმირებულ უარს ამბობდა.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრის შიმშილობასა და იძულებით კვებაზე

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პატიმრის იძულებით კვებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათაგან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებები: რაპაზი შვეიცარიის წინააღმდეგ, ჰოროზი თურქეთის წინააღმდეგ და ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ.

4.1. რაპაზი შვეიცარიის წინააღმდეგ

ბერნარდ რაპაზის შიმშილობის გახმაურებული ისტორია 2010 წლის მარტში დაიწყო. მას სხვა დანაშაულებთან ერთად ნარკოტიკული დანაშაულისათვის ხუთი წლითა და რვა თვით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. საპატიმროში მოთავსებისთანავე რაპაზმა საპატიმრო სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის და მარიხუანას ლეგალიზაციის მოთხოვნით შიმშილობა გამოაცხადა. გადაწყვეტილებაუნარიანობის მდგომარეობაში მოშიმშილემ «პაციენტის ნებაში» წერილობით დაადასტურა, რომ მას სიცოცხლე სურს, მაგრამ იგი შიმშილობის გამო ცნობიერების დაკარგვის შემთხვევისათვის სიკვდილის საფრთხის არსებობისასაც კი იძულებით კვებასთან დაკავშირებულ ყველა სამედიცინო ჩარევას ეწინააღმდეგება. იგი თავდაპირველად შიმშილობის გამო გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანების აღსადგენად შინაპატიმრობაში გადაიყვანეს, სადაც მან ბუნებრივი გზით კვება განაახლა. ბუნებრივი კვებით ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ იგი ისევ საპატიმროში მოათავსეს, სადაც მან იმავე მოთხოვნებით ხელახლა დაიწყო შიმშილობა.

რაპაზის საქმესთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოების და სტაციონალური მომსახურების საჭიროების მქონე პატიმართა სამედიცინო მომსახურების სპეციალურ განყოფილების ექიმთა შეხედულებები დიამეტრლურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. სახელმწიფო ორგანოების (შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს ჩათვლით) გადაწყვეტილებით, მოშიმშილე პატიმარს სასჯელი

თავისუფლების აღკვეთის სახით უნდა მოეხადა და არა შინაპატიმრობით, შიმშილობით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანების გამო მის მიმართ განაჩენის აღსრულებაც არ უნდა შეწყვეტილიყო შვეიცარიის სსკ-ს 92-ე მუხლით (სასჯელაღსრულების შეწყვეტა მნიშვნელოვანი მიზეზის გამო), არამედ იგი სიცოცხლის გადასარჩენად იძულებით უნდა გამოეკვებათ. თუ შვეიცარიის შესაბამის კანტონს არ ექნებოდა რეგულაცია იძულებითი კვების შესახებ, ეს სამედიცინო ჩარევა შეიძლებოდა ზოგადი პოლიციური დათქმის მოშველიებით განხორციელებულიყო.[10] ექიმები კი სამედიცინო ეთიკის წესების და შვეიცარიის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, მოშიმშილე პატიმრის იძულებით კვებაზე უარს აცხადებდნენ.

რაპაზმა ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება საჭიროების შემთხვევაში მისი, როგორც მოშიმშილე პატიმრის, იძულებითი კვების დასაშვებობის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა. იგი ამტკიცებდა, რომ გათავისუფლებაზე უარის თქმითა და შიმშილობის გაგრძელების შემთხვევაში იძულებითი კვების მუქარით შვეიცარია მის მიმართ არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლს (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის და წამების აკრძალვა).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უმრავლესობის გადაწყვეტილებით რაპაზის საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო არ მიიღო და მიუთითა, რომ შვეიცარია რაპაზის საქმეში არ არღვევს მოშიმშილე პატიმრის მიმართ კონვენციის მე-2 მუხლს, სიცოცხლის უფლებას; გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმარს გამიზნული ჰქონდა არა სიკვდილი, არამედ თვითსაფრთხის შექმნით ეროვნულ ხელისუფლებაზე ზეწოლა საპატიმრო სასჯელისაგან გასათავისუფლებლად. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, შვეიცარიის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ შეაფასა მოშიმშილის ჯანმრთელობისათვის არსებული რისკი და მიმართა სათანადო ღონისძიებებს, როგორებიცაა: სამედიცინო ზედამხედველობა და საავადმყოფოში გადაყვანა იძულებითი კვების მუქარით.[11]

რაპაზის საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე არ დაადასტურა შვეიცარიის მიერ კონვენციის მე-3 მუხლს დარღვევაც, რადგან ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა არა სახელმწიფოს მიერ მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ქმედების, არამედ მოსარჩელის მიერ შიმშილობაზე მიღებული თავისუფალი გადაწყვეტილების პირდაპირი შედეგია და განმცხადებლის მოთავსება საპატიმროში მის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსასრულებლად არადამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობაა. სასამართლომ მიუთითა ისიც, რომ რაპაზის საქმეში ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება მოშიმშილის იძულებითი კვების შესახებ შიმშილობით გამოწვეული შედეგების თავიდან ასაცილებლად სამე-

10 შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს 2010 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №6B_599/2010). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://web.archive.org/web/20101202062418/http://www.bger.ch/mm_6b_599_2010_d_internet.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

11 ევროპის სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე რაპაზი შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 73175/10. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-19-48-31/493-2014-09-02-06-05-34> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

დიცინო საჭიროებას შეესაბამებოდა, კანონმდებლობა ამ სამედიცინო ჩარევის პროცედურულ გარანტიებს ითვალისწინებდა და ამასთან, არ არსებობდა საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ იძულებითი კვების აღსრულების პრაქტიკული მეთოდები შვეიცარიაში არ იქნებოდა შესაბამისობაში კონვენციის მე-3 მუხლთან.

4.2. ჰოროზი თურქეთის წინააღმდეგ

მოსარჩელის შვილმა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისას ციხეში არსებული პირობები შიმშილობით გააპროტესტა და 2001 წელს ციხეში შიმშილით გარდაიცვალა.[12] ქალბატონის საჩივარი მიმართული იყო თურქეთის სასამართლოთა წინააღმდეგ, რომლებმაც პროტესტის ამ უკიდურესი ფორმის მიუხედავად, პატიმარი საპატიმროდან არ გაათავისუფლეს. მოსარჩელის აზრით, სასამართლოთა ეს გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგებოდა სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის რეკომენდაციას მისი შვილის გათავისუფლების საჭიროებასთან დაკავშირებით და მისი შვილის გარდაცვალების მიზეზი სწორედ სასამართლოთა ეს გადაწყვეტილებები იყო.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიხედვით, თურქეთს არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება), რადგან არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი პატიმრის გარდაცვალებასა და სახელმწიფოს მიერ გათავისუფლებაზე უარის თქმას შორის; სასამართლომ მიუთითა, რომ სიკვდილის მიზეზი ცალსახად იყო არა პატიმრობის პირობები ან სახელმწიფოს მიერ პატიმრისთვის სამედიცინო დახმარების გაუწევლობა, არამედ გადაწყვეტილებაუნარიანი პატიმრის მიერ გამოცხადებული შიმშილობით შექმნილი თვითსაფრთხე. ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ ამ საქმეში გადაწყვიტა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა თავიანთი მოვალეობა შეასრულეს, პატიმარი იძულებით არ გამოკვებეს, რითაც მათ მოსარჩელის შვილის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაიცვეს.

4.3. ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ

პატიმრობისას მოსარჩელე ნევმერჟიცკი შიმშილობის დაწყების შემდეგ რამდენჯერმე იძულებით გამოკვებეს, რამაც მისი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია. ხელოვნური კვებისას მას ხელბორკილით სკამზე ან გათბობის რადიატორზე აბამდნენ, იძულებით უხსნიდნენ პირს და აყლაპებინებდნენ რეზინის მილს, რაც ხელოვნური საკვების კონტეინერთან იყო მიერთებული. ამასთან, მას პატიმრობის პერიოდში უარი უთხრეს დაავადებათა მკურნალობაზე და შიმშილობისას ათი დღე მოათავსეს სამარტოო საკანში, რითაც დაირღვა დეკლარაციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა).

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიუთითა, რომ აღიარებული სამედიცინო პრინციპების მიხედვით, თერაპიულად აუცილებელი ღონისძიებები, როგორც წესი, არ შეიძლება დამამცირებელ ანდა არაადამიანურ მოპყრობად ჩაითვალოს. ეს ეხება ასევე იძულებით კვებას მოშიმშილე პატიმრის სიცოცხლის

12 ევროპის სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე ჰოროზი თურქეთის წინააღმდეგ, 31/03/2009, განაცხადი 1639/03. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng-press?i=003-2693600-2937450> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

გადასარჩენად, თუმცა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ამგვარი სამედიცინო აუცილებლობა დამაჯერებლად იყო დადგენილი და დაცული უნდა იყოს იძულებითი კვების გადაწყვეტილების პროცედურული გარანტიები; მოშიმშილის იძულებითმა კვებამ არ უნდა მიაღწიოს სიმკაცრის იმ მინიმუმს, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მე-3 მუხლის ფარგლებში მოექცევა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ნევმერჟიცკის იძულებითი კვება იყო თვითნებური, არ იყო დაცული პროცედურული გარანტიები და შესაბამისი ორგანო პატიმრის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად არ მოქმედებდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ფიზიკური იძულებით, ხელბორკილის და პირის გამხსნელის გამოყენებით, ასევე საყლაპავში სპეციალური ზონდის მოთავსებით უკრაინამ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი (წამების და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა).[13]

როგორც ვხედავთ, **ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა მოშიმშილე პატიმრის იძულებით კვებასთან დაკავშირები**თ ცალსახად არ მიჰყვება მოშიმშილის ავტონომიურობის დაცვის პრინციპს. საქმეზე რაპაზი შვეიცარიის წინააღმდეგ სასამართლო პატერნისტულ პოზიციაზე დგას და გადაწყვეტილებაუნარიანი მოშიმშილის მიერ იძულებით კვებაზე გაცხადებული ინფორმირებული უარის მიუხედავად, ეროვნული სასამართლოს მიერ საჭიროების შემთხვევაში მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას არ ადგენს, თუკი ამგვარი ჩარევა პატიმრის სიცოცხლის გადასარჩენადაა საჭირო და სამედიცინო ხელოვნების წესების დაცვით ხორციელდება. მსგავს მითითებას ვხვდებით ასევე გადაწყვეტილებაში ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ, სადაც სასამართლო სიცოცხლის უფლების დაცვას (მე-2 მუხლი) ფიზიკური იძულებითა და შესაბამისად, ღირსების უფლების ხელყოფით (მე-3 მუხლი) დაუშვებლად მიიჩნევს, მაგრამ, ზოგადად, იძულებით კვებას მოშიმშილის სიცოცხლის გადასარჩენად, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოქმედებად არ აღიარებს, თუკი ეს ჩარევა სამედიცინო ხელოვნების წესების მიხედვით განხორციელდება.[14] გადაწყვეტილებაში ჰოროზი თურქეთის წინააღმდეგ სასამართლო ანტიპატერნისტულ პოზიციაზე დგას და მოშიმშილე პატიმრის მიმართ იძულებითი კვების ჩაუტარებლობასა და მისი ავტონომიურობის პატივისცემას კონვენციასთან შესაბამისად თვლის.

5. სამეცნიერო-პრაქტიკული დისკუსია მოშიმშილე პატიმრის იძულებით კვებაზე

ბერნარდ რაპაზის საქმემ მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვების შესახებ გერმანულენოვან ლიტერატურაში მწვავე ინტერდისციპლინურ დისკუსიას დაუდო სათავე. მედიკოსები და იურისტთა ნაწილი სამედიცინო ეთიკის წესების (მსოფლიოს

13 ევროპის სასამართლოს 2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ, განაცხადი 54825/00. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=003-1306808-1363018> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

14 მერდოკი, ჯ. და ჟირიცკა, ვ., 2016. არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა ციხეში. გვ. 31. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806c983c> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

მედიკოსთა ასოციაციის 1975 წლის ტოკიოს და მალტის 1991 წლის დეკლარაციები და მედიკოსთა შიდასახელმწიფოებრივი ეთიკური წესები) თანახმად ამტკიცებდა, რომ შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება გადაწყვეტილებაუნარიანი მოშიმშილის იძულებით კვებასთან დაკავშირებით ექიმთა პროფესიულ ეთიკას ეწინააღმდეგება.[15] მათი აზრით, ლიბერალური ტრადიციიდან გამომდინარე, პაციენტი პატიმრის თვითგანსაზღვრის უფლება, როგორც ადამიანის ღირსების გამოხატულება, დაცულია სასჯელაღსრულებისასაც, განსაკუთრებით კი, შიმშილობისას; შერაცხადი მოშიმშილე პატიმარი თავადაა პასუხისმგებელი თავის სიცოცხლეზე და მას გადაწყვეტილებაუნარიანობის მდგომარეობაში კვებაზე ინფორმირებული უარის გამოცხადებით შიმშილით საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენების და გარდაცვალების უფლება აქვს.[16] მტკიცება იმისა, რომ პატიმარს ეკრძალება შიმშილით სიკვდილით ხელი შეუშალოს სახელმწიფოს დასჯის პრეროგატივის განხორციელებაში, შუასაუკუნეობრივია და ლიბერალურ სასჯელაღსრულებას არ შეეფერება. მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვება არაპროპორციული ჩარევაა პირის სხეულებრივ მთლიანობაში და თავისუფალი ადამიანის «სიცოცხლის ვალდებულება» არ არსებობს.[17]

მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვების მოწინააღმდეგეები შვეიცარიიდან ასევე ხაზს უსვამდნენ, რომ შვეიცარიის სსკ 74-ე მუხლი, რომელიც სასჯელაღსრულებისას სახელმწიფოს პატიმრის ღირსების და მისი უფლებების დაცვას ავალდებულებს და მისი უფლებების შეზღუდვას მხოლოდ იმდენად უშვებს, რამდენადაც ამას მოითხოვს თავისუფლების აღკვეთა და პირთა თანაცხოვრება თავისუფლების აღკვეთის ადგილას პატიმრის იძულებით კვებას კრძალავს. რადგან მოშიმშილე პატიმარი თავისი პასიური პროტესტით სხვა ადამიანებს კი არა, საკუთარ თავს უქმნის საფრთხეს, მისი თვითგანსაზღვრის უფლება ამ მიმართებით არ უნდა შეიზღუდოს. მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვება სახელმწიფოს მიერ პატერნალიზმის გამოვლინება, მის თვითგანსაზღვრის უფლებაში მასიური ჩარევა, შესაბამისად, მისი სამართლის ობიექტად ქცევა და ამგვარად, ადამიანის ღირსების დაუშვებელი ხელყოფაა.[18]

15 Gravier, B. und andere, 2010. Ein Hungerstreik ist eine Protesthandlung. Schweizerische Ärztezeitung, გვ. 1521. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://saez.ch/journalfile/view/article/ezm_saez/de/saez.2010.15477/800bee5272ddeaa35a67c9a431c268f0a9300892/saez_2010_15477.pdf/rsrc/jf > [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

16 Brägger, B., 2010. Zwangsernährung im Strafvollzug – Replik zu «Hungerstreik und Strafvollzug von Markus Müller». Jusletter, 16, გვ. 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.humanrights.ch/cms/upload/pdf/100816_Braegger_Zwangsernaehrung.pdf > [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022]; იხ. ასევე, Noll, Th., 2013. Hungerstreik in U-Haft und Vollzug. Forum Poenale, 6, გვ. 5. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.archiv1864.ch/wp-content/uploads/2015/04/forumpoenale_06_2013_Hungerstreik_in_U_Haft_und_Vollzug.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

17 Noll, Th., 2013. Hungerstreik in U-Haft und Vollzug. Forum Poenale, 6, გვ. 5. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.archiv1864.ch/wp-content/uploads/2015/04/forumpoenale_06_2013_Hungerstreik_in_U_Haft_und_Vollzug.pdf > [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

18 Brägger, B., 2010. Zwangsernährung im Strafvollzug – Replik zu «Hungerstreik und Strafvollzug von Markus Müller». Jusletter, 16, გვ. 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.humanrights.ch/cms/upload/pdf/100816_Braegger_Zwangsernaehrung.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვების მომხრეები კი აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფოს და პატიმარს შორის არსებობს განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს პატიმრის უფლებებში პირდაპირ და მასიურად ჩარევის, მისი თვითგანსაზღვრის უფლების შეზღუდვის უფლება და მასზე ზრუნვის ვალდებულება აკისრია.[19] სახელმწიფო, ერთი მხრივ, ვალდებულია, მოწესრიგებული სასჯელაღსრულებისათვის განახორციელოს კონტროლი პატიმრის ჯანმრთელობაზე და, მეორე მხრივ, დაიცვას კონსტიტუციით გარანტირებული მისი სიცოცხლის უფლება. შესაბამისად, ციხის ადმინისტრაციამ არ უნდა დაუშვას პატიმრის შიმშილით სიკვდილი და აქტიურად დაიცვას მისი სიცოცხლე მისი ნების საწინააღმდეგოდ იძულებითი კვებითაც კი, ამასთან, იძულებითი კვება უნდა განხორციელდეს როგორც უკანასკნელი საშუალება, სამედიცინო ხელოვნების წესების შესაბამისად (lege artis). ისინი ეთანხმებოდნენ შვეიცარიის სასამართლოთა, მათ შორის, შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, გადაარჩინოს პატიმრის სიცოცხლე, უფრო მაღლა დგას, ვიდრე პატიმრის თვითგანსაზღვრის უფლება და თუ კანტონში არ არსებობს იძულებითი კვების შესახებ სამართლებრივი რეგულაცია, პატიმრის სხეულებრივ მთლიანობაში ამგვარი ჩარევა საპოლიციო სამართლის ზოგად დათქმაზე დაყრდნობითაც კია დასაშვები.[20] ამასთან, მეცნიერები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ მოშიმშილეს სიკვდილი «ნამდვილად» არ უნდა. შიმშილობა თვითმკვლელობის აქტი კი არა, არამედ საკუთარი სიცოცხლისათვის რაიმე მიზნის მისაღწევად რისკის შექმნა, პროტესტის და სახელმწიფოზე ზეწოლის საშუალებაა. იმისათვის, რომ დადგინდეს სიკვდილის «ნამდვილი» სურვილი, სისხლის სამართლის სპეციალისტების ნაწილის აზრით, პირი პირველად გონების დაკარგვისას ხელოვნურად უნდა გამოიკვებოს, მიუხედავად იმისა, მას ჰქონდა თუ არა უარი ნათქვამი ხელოვნურ კვებაზე «პაციენტის ნებაში». ხელოვნური კვებით მიღწეული გადაწყვეტილებაუნარიანობის შემდეგ კი ექიმმა უნდა გადაამოწმოს პატიმრის ნება-სურვილის შინაარსი და თუ იგი კიდევ ერთხელ იტყვის უარს ხელოვნურ კვებაზე და შიმშილით გაფიცვას გააგრძელებს, მის ნებას ექიმმა პატივი უნდა სცეს და გადაწყვეტილებაუნარიანობის დაკარგვის შემდეგ ხელმეორედ აღარ გამოკვებოს.[21]

როგორც ვხედავთ, გერმანულენოვან ლიტერატურაში მოშიმშილე პატიმრის იძულებით კვებასთან დაკავშირებით ორი დიამეტრულად განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული და ერთმანეთსაა დაპირისპირებული პატერნალისტური

19 Müller, M. und Jenni, Ch., 2011. Hungerstreik und Zwangsernährung. Schweizerische Ärztezeitung, გვ. 285. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.oefre.unibe.ch/ueber_uns/personen/abt_prof_mueller/dokumente/Hungerstreik.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

20 Mona, M., 2017. Die Einwilligung im Strafrecht. Bern: გვ. 323. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.krim.unibe.ch/unibe/portal/fak_rechtwis/d_dep_krim/inst_krim/content/e406545/e1086626/MartinoMonaDieEinwilligungimStrafrecht2017_ger.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

21 Müller, M. und Jenni, Ch., 2011. Hungerstreik und Zwangsernährung. Schweizerische Ärztezeitung, გვ. 287. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.oefre.unibe.ch/ueber_uns/personen/abt_prof_mueller/dokumente/Hungerstreik.pdf > [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

ანტიპატერნალისტური შეხედულებები. დამოუკიდებლად იმისა, ეთანხმებიან თუ უარყოფენ სპეციალისტები იძულებით კვებას, გერმანულენოვან სპეციალურ ლიტერატურაში ერთიანობაა ერთ საკითხზე: ხელისუფლება მოშიმშილის მიმართ დათმობაზე არ უნდა წავიდეს, დაუშვებელია პატიმრის მიერ სახელმწიფოს დაშანტაჟება,[22] რადგან სამართლებრივ სახელმწიფოში მას აქვს რეალური (ან თუნდაც მხოლოდ აღქმული) უსამართლობისაგან თავდაცვის სამართლებრივი შესაძლებლობები.[23]

მოშიმშილე პატიმრის იძულებით კვებასთან დაკავშირებით ქართულ სამართალში დღესდღეობით ცალსახად გაზიარებულია პატერნალისტური შეხედულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს პატიმრის სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვა ევალება იმ საფრთხისგანაც კი, რომელიც მისგან მომდინარეობს.[24] შიმშილობის პირველ ეტაპზე, იქამდე, სანამ პატიმარი გადაწყვეტილებაუნარიანია და მისი ჯანმრთელობა არაა მკვეთრად გაუარესებული, მოშიმშილე პატიმრის ნება-სურვილსა და ფიზიკური ხელშეუხებლობის პატივისცემას სახელმწიფოს ვალდებულებად თვლიან, პატიმრის კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდნის ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში კი სახელმწიფოს ჩარევა (ანუ, იძულებითი კვება) პატიმრის სიცოცხლის გადასარჩენად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად დასაშვებად მიიჩნევა, ამასთან, არაა გაკეთებული რაიმე დათქმა იძულებითი კვების მხოლოდ ერთჯერადად განხორციელების დასაშვებობაზე.[25] რადგან ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად, იძულებითი კვება მარტოოდენ მოშიმშილე პატიმრის კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდნის შემდეგაა დაშვებული, თავისთავად იგულისხმება, რომ იძულებითი (პატიმრის წინასწარ გაცხადებული ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული) კვებისათვის პატიმრის ფიზიკური წინააღმდეგობის გადალახვა არაა საჭირო და ეს ჩარევა სამედიცინო ხელოვნების წესების სრული დაცვით უნდა განხორციელდეს.

6. მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვების დასაშვებობის პრობლემები ქართული სამართლის მიხედვით

საქართველოში მოშიმშილე პატიმრისადმი მოქცევის წესებს არეგულირებს «კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ» (მუხლი 55) და საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციისა მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №160-ით დამტკიცებული ინსტრუქცია «პენიტენციურ დაწესებულებებში მოშიმშილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.»

22 Amstad, H., 2010. Der Hungerstreik von Bernard Rappaz ist kein Medizinisches, sondern ein politisches Problem. Schweizerische Ärztezeitung, გვ. 2.

23 Noll, Th., 2013. Hungerstreik in U-Haft und Vollzug. Forum Poenale, 6, გვ. 6. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.archiv1864.ch/wp-content/uploads/2015/04/forumpoenale_06_2013_Hungerstreik_in_U_Haft_und_Vollzug.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

24 გოცირიძე, ე., (ტურავა, პ.,"რედ.") 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხლი 15. თბილისი: პეტიტი, გვ. 81. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

25 იქვე. გვ. 81.

საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ (55-ე მუხლი, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის დამოკიდებულება მოშიმშილე პატიმრის ან დაკავებულის მიმართ) ითვალისწინებს პაციენტის ინფორმირებულ უარს საკვების ბუნებრივი გზით მიღებაზე (რაც უნდა დაადასტუროს როგორც აღნიშნულმა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა, ასევე ერთმა სხვა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმაც) და ექიმის ვალდებულებას, არ გამოკვებოს გადაწყვეტილებაუნარიანი პაციენტი ხელოვნურად. ნაწილობრივ პატერნალისტურ ხაზს მიჰყვება ამ კანონის 55-ე მუხლის მე-3 აბზაცი, რომლის მიხედვითაც, თუ მოშიმშილე პატიმარი ან დაკავებული ნებაყოფლობითი შიმშილობის შემთხვევაში უგონო მდგომარეობაში ჩავარდა, პაციენტის მიერ მანამდე გაცხადებული ნებისაგან დამოუკიდებლად, ექიმს უფლება აქვს იმოქმედოს პაციენტის ჯანმრთელობის ან/და სიცოხლის ინტერესების შესაბამისად. ამ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გაწევა ექიმის უფლებაა და არა – ვალდებულება. სამედიცინო დახმარების გაწევისას ექიმი გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად, პროფესიული ეთიკის საფუძველზე და პაციენტის კეთილდღეობისათვის. რადგან პატიმარი პაციენტის განცხადებული ნების საწინააღმდეგოდ და მისი ჯანმრთელობის და სიცოცხლის გადასარჩენად ექიმის მოქმედება სავალდებულო არაა, ამ მუხლს ცალსახად პატერნალისტური ხასიათი არ აქვს. საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 55-ე მუხლი მე-4 აბზაცის თანახმად, თუკი ექიმი მოშიმშილე პატიმრის ან დაკავებულის ინფორმირებულ უარს სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პატივს სცემს და მას არ დაეხმარება, შიმშილობის მოსალოდნელ შედეგებზე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი პასუხს არ აგებს.

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციისა მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №160-ით დამტკიცებული ინსტრუქცია «პენიტენციურ დაწესებულებებში მოშიმშილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე» სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოშიმშილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის, შიმშილობის მართვისა და სამედიცინო მომსახურების პირობებს არეგულირებს. აღნიშნულ ინსტრუქციაში გათვალისწინებულია მოშიმშილე პატიმრის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად განსახორციელებელი ღონისძიებები (მოთავსება სასჯელაღსრულების დაწესებულების სტაციონარულ სამკურნალო ან სამედიცინო პუნქტში, ანდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებაში, ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში) და ამ ღონისძიებების განხორციელების პროცედურული წესები.

ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლში მოცემულია შიმშილობის დეფინიცია და განმარტებულია ასევე შიმშილობის ტრადიციულად აღიარებული სამი სახე, სახელწოდებით: არასრული, სრული და აბსოლუტური შიმშილობა. შიმშილობის ზოგადი დეფინიცია მოიცავს მხოლოდ შიშილობის სამედიცინო მხარეს და ყურადღებას არ ამახვილებს შიმშილობის იურიდიულ ხასიათზე, ანუ იმაზე, რომ შიმშილობა გადაწყვეტილებაუნარიანი პატიმრის ავტონომიური გადაწყვეტილებაა რაიმე მიზნის მისაღწევად. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ამ ინსტრუქციის სხვა მუხლები.

ინსტრუქციის მე-4 მუხლი (დაწესებულების მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები), მიუთითებს შიმშილობის მიზეზის კვლევის აუცილებლობასა და მოშიმშილის

კანონიერი მოთხოვნის შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილების საჭიროებაზე. შესაბამისად, ინსტრუქცია შიმშილობას რაიმე მიზეზს უკავშირებს და პატიმრის მიზნის დადგენის საჭიროებაზე მიუთითებს.

მოშიმშილის გადაწყვეტილებაუნარიანობას ეხება ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-5 აბზაცი, სადაც ყურადღებაა გამახვილებული მოშიმშილის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე, ანუ გადაწყვეტილებაუნარიანობაზე. ინსტრუქციის ამ რეგულაციის მიხედვით, ექიმ-ფსიქიატრის მიერ მოშიმშილის ფსიქიკური აშლილობის დადგენის შემთხვევაში იგი მოშიმშილედ აღარ განიხილება და მის მიმართ უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, გათვალისწინებული კანონში «ფსიქიატრიული დახმარების შესახებ». შესაბამისად, ეს ინსტრუქცია ითვალისწინებს შიმშილობის დოგმატიკური დეფინიციის სამივე ნიშანს (უარი საკვების მიღებაზე, ნებაყოფლობით გაცხადებული ნება და რაიმე მიზნის მიღწევის სურვილი), რომლებიც მე-4 და მე-5 მუხლებშია გაბნეული.

ინსტრუქციის მე-5 მუხლის 1-ლი აბზაცით, შიმშილობის დროს სამედიცინო დახმარების გაწევის, მათ შორის, ხელოვნური კვებისათვის პაციენტის ინფორმირებული თანხმობაა საჭირო, რაც კანონმდებლის მიერ მოშიმშილე პატიმრის ავტონომიურობის პატივისცემაზე მიუთითებს. კანონმდებელი ავტონომიურობის პრინციპიდან ამავე მუხლის პირველ ნაწილში გადადის პატერნალისტურ მიდგომაზე და დასაშვებად თვლის ინფორმირებული თანხმობის გარეშე სამედიცინო ჩარევას და ხელოვნურ კვებას მაშინ, როდესაც სამედიცინო დახმარების გარეშე გარდაუვალია მოშიმშილის სიკვდილი. აქვე მითითებულია, რომ ხელოვნური კვების შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაადასტუროს კიდევ ერთმა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა. ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-9 აბზაცი ეხება ექიმისა და მოშიმშილის ყოველდღიურ კონფიდენციალურ საუბარს სხვა საკითხებთან ერთად იმაზე, თუ რა სამედიცინო ღონისძიებებს ეთანხმება იგი გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას. ხსენებული რეგულაცია ამ ნაწილში პაციენტის ავტონომიურობას კი უსვამს ხაზს, მაგრამ წინააღმდეგობაში მოდის ამავე მუხლის 1-ელ პუნქტთან, რომელიც პაციენტისათვის სიკვდილის საფრთხის არსებობისას სამედიცინო დახმარებისათვის მოშიმშილის ინფორმირებული თანხმობის საჭიროებას გამორიცხავს.

ხელოვნური კვების სხვა ალტერნატივა, თვითსაფრთხის შემქმნელი პატიმარი პაციენტის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება თვითგამოცხადებული შიმშილით გამოწვეული ავადმყოფობის გამო საქართველოს სსკ-ს 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილში (სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო) გერმანულენოვანი ლიტერატურის მსგავსად არც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიაზრება, სადაც მითითებულია იძულებითი კვების საჭიროებაზე და არა მოშიმშილე პატიმარი პაციენტის შიმშილობით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მისი სასჯელისაგან გათავისუფლებაზე.[26] რადგან ამგვარი გათავისუფლება წინააღმდეგობაში მოვიდოდა სასჯელაღსრულების პრინციპთან (კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, საქართველოს პატიმრობის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი) და ქვეყანაში სასჯელაღსრულების სისტემას ჩამოშლიდა.

26 გოცირიძე, ე., (ტურავა, პ., "რედ.") 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხლი 15. თბილისი: პეტიტი, გვ. 81. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf > [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

დასკვნა

მედიკოსთა ეთიკის პრინციპების და საერთაშორისო დეკლარაციების თანახმად, ექიმს პატიმარზე, როგორც მოწყვლად პაციენტზე, განსაკუთრებული ზრუნვა და მისი ავტონომიურად გამოხატული ნების პატივისცემა ევალება მაშინაც კი, როდესაც პატიმარი პაციენტის გადაწყვეტილებას შიმშილობის შესახებ მისი სიკვდილი შეიძლება მოჰყვეს. სამედიცინო ეთიკის წესების თანახმად, იძულებით კვებად განიხილება ნებისმიერი ხელოვნური კვება როგორც საღ გონებაზე მყოფი გადაწყვეტილებაუნარიანი პაციენტის, ასევე კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პატიმარი პაციენტისა, მისი «წინასწარ გამოხატული ნების» საწინააღმდეგოდ. სტატიაში განხილული პენიტენციური მედიცინის სამართლის რეგულაციების (ქართული და გერმანული) მიხედვით, ექიმი ვალდებულია, პატივი სცეს გადაწყვეტილებაუნარიანი პატიმრის ინფორმირებულ გადაწყვეტილებას საკვებზე უარის თქმასთან დაკავშირებით და იგი იძულებით, მისი ფიზიკური წინააღმდეგობის გადალახვის გზით არ გამოკვებოს; იმ მომენტიდან კი, როდესაც მოშიმშილე პატიმრის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე დაემუქრება, მისი ავტონომიურად მიღებული გადაწყვეტილება შიმშილობის შესახებ «გონივრულობის» მასშტაბით გაიზომება და პაციენტი სახელმწიფო ორგანოს პატერნალისტური გადაწყვეტილებით მოშიმშილე პატიმრის წინასწარ გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ ხელოვნურად გამოიკვებება. შესაბამისად, ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის და ღირსების შემლახავი იძულებითი კვება პენიტენციურ მედიცინაში ვიწროდაა გაგებული და მარტოოდენ მოშიმშილის ფიზიკური წინააღმდეგობის გადალახვით განხორციელებულ კვებას გულისხმობს. შესაბამისად, სამედიცინო ხელოვნების წესების და მოშიმშილის ღირსების სრული დაცვით ჩატარებული ხელოვნური კვება პირის წინასწარ გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ მოშიმშილის სიცოცხლის გადასარჩენად, მისი სხეულებრივი მთლიანობის ხელყოფად არ განიხილება.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეუთოს დამოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი და «ციხის საერთაშორისო რეფორმა», 2018. სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/ODIHR_MR_Guidance_Doc_Georgian_AW_WEB_MR.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].
2. ქავთარაძე, მ., 2019. სამედიცინო მომსახურეობა პენიტენციურ სისტემაში, სამაგიდე კვლევა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://clck.ru/33pBZX> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>/ [წვდომის თარიღი 1 დეკემბერი 2022].
2. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდო-

მია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46> [წვდომის თარიღი 1 დეკემბერი 2022].
3. საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციისა მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №160-ით დამტკიცებული ინსტრუქცია «პენიტენციურ დაწესებულებებში მოშიმშილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/50710?publication=0> [წვდომის თარიღი 1 დეკემბერი 2022].
4. Declaration of Malta on Hunger Strikers. ხელმისაწვდომია: <https://www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-malta-on-hunger-strikers/> [წვდომის თარიღი 1 დეკემბერი 2022].
5. Gesetz über den Vollzug der Freiheitsstrafe und der freiheitsentziehenden Maßregeln der Besserung und Sicherung, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/stvollzg/BJNR005810976.html> [წვდომის თარიღი 1 დეკემბერი 2022].
6. Schweizerisches Strafgesetzbuch, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/54/757_781_799/de> [წვდომის თარიღი 1 დეკემბერი 2022].
7. WMA Declaration of Tokyo – Guidelines for Physicians Concerning Torture and other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment in Relation to Detention and Imprisonment. განახლებულია 2017 წელს ჩიკაგოში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://web.archive.org/web/20101204225222/http://www.wma.net/en/30publications/10policies/c18/index.html> [წვდომის თარიღი 1 დეკემბერი 2022].

სასამართლო პრაქტიკა:

1. ევროპის სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე რაპაზი შვეიცარიის წინააღმდეგ. განაცხადი 73175/10. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-19-48-31/493-2014-09-02-06-05-34> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].
2. ევროპის სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე ჰოროზი თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი 1639/03). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng-press?i=003-2693600-2937450> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].
3. ევროპის სასამართლოს 2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი 54825/00.). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:< https://hudoc.echr.coe.int/eng?i=003-1306808-1363018 > [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].
4. შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს 2010 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №6B_599/2010). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://web.archive.org/web/20101202062418/http://www.bger.ch/mm_6b_599_2010_d_internet.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2022].

Bibliography:

Used Literature:

1. Kavtaradze, M., 2019. Medical Services in the Penitentiary System, desk research. [Online] available at: <https://clck.ru/33pBZX> [Accessed 18 November 2022]. (in Georgian)
2. OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights and International Prison Reform, 2018. Guidance Document on the Nelson Mandela Rules. [Internet] Available at: Handbook on the Nelson Mandela Rules, Implementation of the Revised UN Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners. [Online] Available at: [Online] available at: <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2018/07/MR_Guidance_Doc.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in English)

Normative materials:

1. Constitution of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Accessed 1 December 2022]. (in Georgian)
2. Law of Georgia on Health Protection. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46> [Accessed

1 December 2022]. (in Georgian)
3. WMA Declaration of Tokyo – Guidelines for Physicians Concerning Torture and other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment in Relation to Detention and Imprisonment. Updated in 2017 in Chicago. [Online] available at: <https://web.archive.org/web/20101204225222/http://www.wma.net/en/30publications/10policies/c18/index.html> [Accessed 1 December 2022]. (in English)
4. Instruction No. 160 of November 2, 2015 of the Minister of Penitentiary and Probation of Georgia "On Approving the Instruction on the Conditions of Stay of Starving Accused/Convicted in Penitentiary Institutions". [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/50710?publication=0> [Accessed 1 December 2022]. (in Georgian)
5. Declaration of Malta on Hunger Strikers Adopted at the 43rd Assembly of the World Medical Association, November 1991, last updated October 2017, Chicago. [Online] available at: <https://www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-malta-on-hunger-strikers/> [Accessed 1 December 2022]. (in English)
6. German Penal Code. [Online] available at: <https://www.gesetze-im-internet.de/stvollzg/BJNR005810976.html> [Accessed 1 December 2022]. (in German)
7. Swiss Penal Code. [Online] available at: <https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/54/757_781_799/de> [Accessed 1 December 2022]. (in German)

Judicial practice:

1. The decision of the European Court, *Rappaz v. Switzerland*, 26/03/2013, application 73175/10. [Online] available at: <https://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-19-48-31/493-2014-09-02-06-05-34> [Accessed 18 November 2022].
2. The decision of the European Court, Horoz v. Turkey, 31/03/2009, application 1639/03. [Online] available at: <https://hudoc.echr.coe.int/eng-press?i=003-2693600-2937450> [Accessed 18 November 2022].
3. The decision of the European Court, Nevmerzhitsky v Ukraine, 05/04/2005, application 54825/00. [Online] available at: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=003-1306808-1363018> [Accessed 18 November 2022].
4. The decision of the Swiss Federal Court, 26 August 2010 (Case No. 6B_599/2010). [Online] available at: <https://web.archive.org/web/20101202062418/http://www.bger.ch/mm_6b_599_2010_d_internet.pdf> [Accessed 18 November 2022].

References:

1. Gotsiridze, E., (Turava, P., „ed.), 2013. Commentary on the Constitution of Georgia, Article 15, p. 81.[Online] Available at: <http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in Georgian)
2. Noll, Th., 2013. Hunger Strike in Custody and in Prison. Forum Poenale, 6, p. 2. [Online] available at: <https://www.archiv1864.ch/wp-content/uploads/2015/04/forumpoenale_06_2013_Hungerstreik_in_U_Haft_und_Vollzug.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in German)
3. Kunkel, Th. N, Noemi, E., Novak, R. and Oster, I., 2014. Practical Issues in the Medical Care of Hunger Strikers, Maintal: p. 6. [Online] Available at: <https://www.vdaeae.de/images/stories/fotos2/vdaeae_Hungerstreik_Reader_2014.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in German)
4. Ibid. p. 4.
5. Ibid. p. 14.
6. Brägger, B., 2010. Forced Feeding in Prison – Reply to “Hunger Strike and Prison” by Markus Müller, Jusletter, 16, p. 3.[Online] is available at: <https://www.humanrights.ch/cms/upload/pdf/100816_Braegger_Zwangsernaehrung.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in German)
7. WMA Declaration of Tokyo – Guidelines for Physicians Concerning Torture and other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment in Relation to Detention and Imprisonment. Updated in 2017 in Chicago. [Online] available at: <https://web.archive.org/web/20101204225222/http://www.wma.net/en/30publications/10policies/c18/index.

html> [Accessed 18 November 2022].
8. Kunkel, Th. N., Noemi, E., Novak, R., and Oster, I., 2014. Practical Issues in the Medical Care of Hunger Strikers, p. 10. [Online] available at: <https://www.vdaeae.de/images/stories/fotos2/vdaeae_Hungerstreik_Reader_2014.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in German)
9. Ibid. p. 9.
10. Federal Supreme Court, judgment of 08/26/2010, (6B_599/2010). [Online] available at: <https://web.archive.org/web/20101202062418/http://www.bger.ch/mm_6b_599_2010_d_internet.pdf> [Accessed 18 November 2022]. (In German)
11. The decision of the European Court, Rappaz v. Switzerland, 26 March 2013, Application 73175/10. [Online] available at: <https://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-19-48-31/493-2014-09-02-06-05-34> [Accessed 18 November 2022]. (In Georgian)
12. The decision of the European Court, Horoz v. Turkey, 31 March 2009, Application 1639/03. [Online] available at: <https://hudoc.echr.coe.int/eng-press?i=003-2693600-2937450> [Accessed 18 November 2022]. (in English)
13. The decision of the European Court, Nevmerzhitsky v. Ukraine, 05 April 2005, Application 54825/00. [Online] available at: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=003-1306808-1363018> [Accessed 18 November 2022]. (in English)
14. Murdoch, J. and Jiritzka, V., 2016. Tackling Ill-Treatment in Prison. p. 31 [Online] Available at: <https://rm.coe.int/16806c983c> [Accessed 18 November 2022]. (in Georgian)
15. Gravier, B., et al. A Hunger Strike Is an Act of Protest, Schweizerische Ärztezeitung, p. 1521. [Online] available at: <https://saez.ch/journalfile/view/article/ezm_saez/de/saez.2010.15477/800bee5272ddeaa35a-67c9a431c268f0a9300892/saez_2010_15477.pdf/rsrc/jf> [Accessed 18 November 2022]. (in German)
16. Brägger, B., 2010. Forced Feeding in Prison – Reply to "Hunger Strike and Prison" by Markus Müller, Jusletter, 16, p. 3.[Online] available at: <https://www.humanrights.ch/cms/upload/pdf/100816_Braegger_Zwangsernaehrung.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in German); see also, Noll, Th., 2013. Hunger Strike in Detention and in Prison. Forum Poeale, 6, p. 5. [Online] available at: <https://www.archiv1864.ch/wp-content/uploads/2015/04/forumpoenale_06_2013_Hungerstreik_in_U_Haft_und_Vollzug.pdf> [Accessed 18 November 2022].
17. Noll, Th., 2013. Hunger Strike in Detention and in Prison, Forum Poeale. 6, p. 5. [Online] available at: <https://www.archiv1864.ch/wp-content/uploads/2015/04/forumpoenale_06_2013_Hungerstreik_in_U_Haft_und_Vollzug.pdf> [Accessed 18 November 2022].
18. Brägger, B., 2010. Forced Feeding in Prison – Reply to "Hunger Strike and Prison" by Markus Müller, Jusletter. 16, p. 3.[Online] available at: <https://www.humanrights.ch/cms/upload/pdf/100816_Braegger_Zwangsernaehrung.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in German).
19. Müller, M. und Jenni, Ch., 2011. Hunger Strike and Forced Feeding, Schweizerische Ärztezeitung, p. 285. [Online] available at: <https://www.oefre.unibe.ch/ueber_uns/personen/abt_prof_mueller/dokumente/Hungerstreik.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in German)
20. Mona, M., 2017. Consent in Criminal Law. Bern: p. 323. [Online] available at: <https://www.krim.unibe.ch/unibe/portal/fak_rechtwis/d_dep_krim/inst_krim/content/e406545/e1086626/MartinoMonaDieEinwilligungimStrafrecht2017_ger.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in German)
21. Müller, M. und Jenni, Ch., 2011. Hunger Strike and Forced Feeding. Schweizerische Ärztezeitung, p. 287, [Online] available at: <https://www.oefre.unibe.ch/ueber_uns/personen/abt_prof_mueller/dokumente/Hungerstreik.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in German)
22. Amstad, H., 2010. Bernard Rappaz's Hunger Strike Is Not a Medical But a Political Problem. Schweizerische Ärztezeitung, p.2. (in German)
23. Noll, Th., 2013. Hunger Strike in Detention and in Prison, Forum Poeale. 6, p. 6. [Online] Available at: <https://www.archiv1864.ch/wp-content/uploads/2015/04/forumpoenale_06_2013_Hungerstreik_in_U_Haft_und_Vollzug.pdf> [Accessed 18 November 2022].
24. Gotsiridze, E., (Turava, P., "ed."), 2013. Commentary on the Constitution of Georgia, Ar-

ticle 15. p. 81.[Online] available at: <http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in Georgian)
25. Ibid. p. 81.
26. Gotsiridze, E., (Turava, P., "ed."), 2013. Commentary on the Constitution of Georgia, Article 15, p. 81. [Online] available at: <http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf> [Accessed 18 November 2022]. (in Georgian)